დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21

2012 წლის 25 მაისი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის სახეობის განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება/მშენებლობა საჭიროებს მშენებლობის ნებართვას

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ჟ" ქვეპუნქტის და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის №57, 2009 წლის 24 მარტის დადგენილების 65-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. განისაზღვროს I კლასს დაქვემდებარებული შემდეგი სახეობების შენობა-ნაგებობები, რომელთა განთავსება/მშენებლობა საჭიროებს მშენებლობის ნებართვას:

ა) 60 $მ^2$-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;

ბ) 20 $მ^2$-მდე მოცულობის, 10მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 10მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა;

გ) შენობა-ნაგებობა, რომლის მალის,ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5მ-ისა;

დ) V კატეგორიის ელექტროსადგურები(ჰიდროელექტროსადგური 50 კვტ-მდე, მზისა და ბიოგაზის დანადგარი);

ე) კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟი არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით ან კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟისათვის ტრანშეის/თხრილის მოწყობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟი დამატებით საჭიროებს სანებართვო შენობა-ნაგებობის მშენებლობას/მონტაჟს);

ვ) საზოგადოებრივ ტერიტორიებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5მ-მდე სიმაღლისა და 6$მ^2$-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობები ან/და დანადგარები;

ზ) ხაზობრივი ნაგებობები – III კატეგორიის გაზსადენი, III კატეგორიის წყალსადენი, III კატეგორიის წყალარინების მილი, III კატეგორიის ქუჩა, IV და V კატეგორიების ელექტროგადამცემი ხაზები;

თ) საჩრდილობლის მოწყობა;

ი) შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის ისეთი სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, რომელთა დროსაც ხდება შენობა-ნაგებობის ფერის ან მოსაპირკეთებელი მასალის ცვლილება;

კ) ღია სათამაშო და სპორტული (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის ან სხვა შენობების გარეშე) მოედნებისა და ღია ავტოსადგომების მოწყობა;

ლ) სამშენებლო მიწის ნაკვეთზე 25$მ^3$-მდე მოცულობისა და არა უმეტეს 2.2მ სიღრმის აუზის, ღია საცურაო აუზის, აგრეთვე ჭებისა და წყაროების მოწყობა;

მ) შენობა-ნაგებობის ექსტერიერზე მცირე ზომის არქიტექტურული ნაწილების/ელემენტების, კონსტრუქციების, ტექნიკური საშუალებების დამატება/მოკლება.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბ. მგელაძე**